# სახალხო გაზეთი

№ 1189 კვირა, 18 მაისი 1914 წ. № 1189

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედინი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლომაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ტელეფონი № 12-29

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ.. დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


ქვრივი ნატალია მესხისა, დები: ანნა პეტრიაშვილისა, ეფემია გეპნერისა და მარიამ გამრეკელისა, ძმები: ივანე, მიხეილ და დავით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

## კოტე მესხის

გარდაცვალებას. კვირას, 18 მაისს ცხედარს გამოასვენებენ (პრიუტის მისახვევი 6) დილის 9½ საათზე. ქვაშვეთის ეკლესიაში წირვასა და პანაშვიდს გადაუხდიან. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს ქართველ მსახიობთა ძმობის სასაფლაოზე. 1213

ტფილისის ქართული დრამატიული საზოგადოება მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებულ მსახიობის

## კონსტანტინე სვიმონის ძე მესხის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 18 მაისს, დილის 9½ ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, მიცვალებულის ბინიდან (პრიუტის მისახვევი № 6). დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1213

ბულბარის ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობა და რეჟისორი ღრმა გულის ტკივილით აუწყებს საზოგადოებას, რომ დაკრძალვა უდროოდ გარდაცვალებულის ქართული თეატრის დამსახურებულის მსახიობის

## კოტე მესხისა,

დანიშნულია დღეს, 18 მაისს. გამოსვენება დილის 9½ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საკუთარ ბინიდან, პრიუტის მისახვევი. 353

ეფროსინე იესეს ასული, ისიდორე იასეს ძე დოლიძეები გულითად მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც პირადად თუ დეპეშებით თანაგრძნობა გამოუცხადა მათი შვილის

## კოლას

გარდაცვალების გამო. 361

სამშაბათს, 20 მაისს თავ. ორბელიანთა კარის ეკლესიაში გარდახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

## თავ. ვასილ ალექსანდრეს ძის ფალავანდიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს დედა გარდაცვალებულისა შვილებით. პანაშვიდი 12 საათზე. 359

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 22 მაისს, 1914 წელს გაიმართება

## ი. ევდოშვილის საღამო.

## ახალი კლუბი

(საზაფხულო თეატრი)

ორშაბათს, 19 მაისს,

## კონცერტი

სიმფონიური ორკესტრისა ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. მონაწილეობას მიიღებენ ი. პ. სარაჯიშვილი (სიმღერა) და ე. ნ. კოპელნიცკი (ვიოლონჩელი). ✦ დასაწყისი სრულ საღამოს 9 საათზე. ადგ. ფასი: 1, 2, 3 რიგი—50 კ., 4, 5, 6—40 კ., 7, 8, 9—30 კ., მეათე რიგიდან—20 კ., ბალკონი—30 კ.

ა ნ ო ნ ს ი: ოთხშაბათს, 21 მაისს, პირველი სიმფონიური კრებული ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით მეხუთე სიმფონია პ. ი. ჩაიკოვსკისა. მონაწილეობას მიიღებენ ი. პ. სარაჯიშვილი (სიმღერა) და ი. ფიზბერგი (სკრიპკა). კლუბში შესას. სტუმრ. იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კაპ., სტუდენტ. 25 კ. 1211

## დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

დღეს, 18 მაისს, გაიმართება



## 2 დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

სრულებით განახლებულის პროგრამით. იდუმალობით მოცულ ეგვიპტელ ალის ტფილისში ყოფნის უკანასკნელი დღეები. ალი მონაწილეობს დღისითაც და საღამოთაც. დღისით უკანასკნელად! ვისაც კი ალი არ უნახავს, უნდა ნახოს იუპატოვის ცირკში, რადგანაც ასეთი გასტროლიორები იშვიათად ესტუმრებიან ხოლმე ტფილისს, როგორიც არის ალი, რომელიც გუშინ ცირკის მანეჟში ექიმებმა შეამოწმეს. დღისით დიდი საბავშვო სადღესასწაულო წარმოდგენა მხიარულობისა. დღეს დღისით უკანასკნელად მონაწილეობს უცნაური ეგვიპტელი ალი. დღისით ბავშვებს უფასოდ ასეირნებენ ცხენებით. დღისით წარმოდგენა დაიწყება ნაშუადღევის 2 საათზე.

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

## სანატორიუმი „რუსული დავოსი“,

აბასთუმანში.

ფილტვებისა, სასუნთქ-ნაკლებით, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებათ ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეძროხების ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთვლით და სხვა თვეში 120—200 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს ზ. მიზრაბიანცს, აბასთუმანში. ზღვის ზედაპირიდან 1278 მეტრ. ტფ. გუბერ. 1087

## გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და თერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ზრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძით შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

## წამლობა „914“ და „606“.

1023

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვიტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფედოროვი ი. გ. ყოველ დღე, 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მირზოევა-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულობ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ფსიქ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოლევი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათინიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

## ახალი კლუბი

(საზაფხულო შენობა).

პარასკევს, 23 მაისს, 1914 წ. ახალგაზრდა მეცნიერი ბ-ნი

## ვ. ა. გურკო

წაიკითხავს ლექციას ამ თემაზედ: „საქართველოს კულტურა და მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთთან“ დასაწყისი 9 საათზედ. ადგილების ფასი პარტერში 20 კ.—1 მ. 20 კ. 1211

## სკოლა ტყეში

(Waldschule)

საყმაწვილო ბაღით და პანსიონით ზ. გ. არჩევანიძისა 6—12 წლის ჯანით სუსტი ვაჟებისათვის. მისამართი: ტფილისი, მალაკნების ქ., 27. ზაფხულობით: წაღვერი, სატყეო სკოლა. 358

ტფილისის ქართული ფილარმონიული

## საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთა, რომ

## წლიური საერთო კრება

დანიშნული კვირას, 18 მაისსთვის, გადაიდო ოთხშაბათს 21 მაისისათვის საღამოს 7½ საათზე, 1914 წ. სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი).

კ რ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი:

1) ანგარიში 1912—13 წლისა, სარევიზიო კომისიის დასკვნით.
2) ხარჯთ-აღრიცხვა 1914 წლ.
3) არჩევნები გამგეობის 7 წევრთა და 7 კანდიდატთა და სამ წევრთა სარევიზიო კომისიისა.
4) მიღება ახალი წევრებისა.

ეს კრება წესდების ძალით უეჭველად შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1181

## ახლად გაიხსნა

სასტუმრო სასადილო

## „სინათლე“

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

☛ ყოფილი „სიცილია“ და „არარატი“ ☚

1077 პატ. ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოსები“.

## ტფილისის ქალაქის ლომბარდი

გაცემულ სესხზე ღებულობს წელიწადში მხოლოდ 11%, აქ შედის შენახვისა და დაზღვევის ხარჯიც.

ლომბარდში მუშაობა სწარმოებს დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 ს.-მდე.

სესხს, რაოდენობის მიუხედავად, დაუბრკოლებლად აძლევენ.

გამოსყიდულს გირაოს დაუყოვნებლივ უბრუნებენ.

მაისის გასულა ლომბარდი გადადის მელიქ-აზარიანცის სახლში, ოლღას ქუჩაზე, ვერის ღალმართთან. 1150

## ახალი კლუბი

(საზაფხულო შენობა)

სამშაბათს 20 მაის 1914 წ.

## საოჯახო საღამო.

დრამატიულ საზოგად. მოყვარულთა ჯგუფი დაარსებული ახალ-კლუბთან წარმოადგენს: 1) „რაინდი ინდუსტრიისა“ მინიატურა ა. ავერჩენკოსი. 2) „თერი პიერო“ კომედ. 1 მოქ. ე. როსტენისა, ნათარგმნი ჩეპკინა-კუპერნიკისა. 3) „მასკარადის შემდეგ“ 1 მოქ. ჩეგლოვისა. მონაწილეობას მიიღებენ ქალ. ე. ა. ალექსი-მესხიშვილისა, ა. ნ. რაისკისა, ე. მ. იურიევისა, ბ.ბ. ს. ა. ავარსკი, ნ. ი. აველევსკი, თ-დი ნ. გ. ბეგთაბეგოვი, ვ. ა. ვოლდორი, ნ. გ. მაჭავარიანი.

დ ა ს ა წ ყ ი ს ი ღამის 9 საათ.

ადგილების ფასი: 1, 2, 3 რიგი 50 კაპ. 4, 5, 6—40 კაპ., 7, 8, 9—30 კ. მეათე რიგიდან 20 კ., ბალკონი 30 კ. კლუბში შესასვლელს სტუმრები იხდიან მამა-კაცნი 1 მ., ქალები 50 კ., სტუდენტები 25 კაპ. 1211.

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

## საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყოფა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078

ექიმთა საზოგადოების

## სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტ ე ლ ე ფ. № 1 0 2 6.

ავადმყოფების მიღება:

აგაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

კიპონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება სიეროთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914“, „606“. 1040

# საქალაქო პარკი ვერაზე

პირველ-ხარისხოვანი
რესტორანი
ტელეფონი № 14—66
სამზარეულო აზიური და ევროპიული.
იიღება დაკვეთა სადილებისა, ვახშმებისა და სხვა.

ყოველ დღე საღ. 7 ს. ღამის 2 საათამდე, ხოლო კვირაობით კი ნაშუადღევის 2—5 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე,
უკრავს საკონცერტო სიმებიანი ორკესტრი
საუკეთესო სოლისტებით, თავისუფალ ხელოვანის
ლ. ხტუპელ-ის
ხელმძღვანელობით.

ნავებით სეირნობა



ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ილებს სანატორიუმ „რუსული დაბახში" აბასთუმანში,
შინაგან სნეულებათა ავადმყოფობებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა და აგრეთვე ლვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—1 ს.-დე. 1516

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა ❡ კანის ავადმყ. ფახხერშინის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სტოსტო განყოფ. პირდაპირ.

ექიმ ლ. ლ. გოციროძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მოურიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

ქ. გორში
ექიმი (დოკტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი
ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტ. და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ.ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
აბელდიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოლოტსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
გორობინცი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
გნუჩკოვი—ქირურგ. ავადმყ. ყოველ-დღე 11—12 ს.
შაშაშა, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ასმახოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალმიკოვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. ათხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინაცე—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და ჲ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.
სათვალეების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი
გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.
შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი ს. გ. მამრაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალთა და საშოს სნეულებანი).
ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, აქვს გამართული ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011


## ტფილისი, 18 მაისი

ინგლისის პარლამენტმა მესამედ მიიღო ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტი ❡ ამრიგად ირლანდიამ მიიღო ის, რისთვისაც დიდი ხანია თავ-გამოდებით იბრძოდა. ამიერიდან ირლანდიის ჰომრულის საკითხი აღარ იქნება, იქნება მხოლოდ ირლანდიის ავტონომია. ამ პატარა კუთხეს ინგლისისას ექნება თავისი პარლამენტი, თავისი მართვა-გამგეობა, თავისი მთავრობა, პასუხისმგებელი თავისი საკუთარი ხალხის წინაშე. იგი დამოუკიდებლად განავითარებს თავის კულტურულსა და ეკონომიურს ძალ-ღონეს; ირლანდია ინგლისის სხვა ავტონომიურ სახელმწიფოთა სიაში ჩაეწერება.

მძიმე და ხანგრძლივი იყო ირლანდიელების ბრძოლა ავტონომიისთვის. ბევრნაირ ხასიათს იღებდა ავტონომიური მოძრაობა: იგი ხან მშვიდობიანი პარლამენტარული იყო ხან რევოლიუციონური. ბრძოლა ჰომრულისთვის ხან პოლიტიკური იყო, ხან აგრარულ-სოციალურ ხასიათს იღებდა; იგი ხან სტიქიური იყო, ხან შეგნებული. ინგლისის ლიბერალურმა მთავრობამ ენერგიულად ჩასჭიდა ხელი ირლანდიის საკითხს და, მიუხედავად მრავალ-ნაირი დაბრკოლებისა, იგი სასურველ დასკვნამდე მიიყვანა.

მაგრამ ინგლისის სახელმწიფოებრივი ბრძნული აზრი ამაზე არ შეჩერებულა. ირლანდიის ავტონომიის საკითხის ჯერ ისევ საბოლოვო ლიკვიდაციამდე დაიბადა შოტლანდიის ავტონომიის საკითხი. ინგლისის ლიბერალური მთავრობა და მთელი პროგრესიული ნაწილი ინგლისისა, რომელმაც კი იცის დაფასება დემოკრატიის იდეალებისა, მხნედ მოეკიდა ამ საკითხსაც. განზრახულია, შოტლანდიასაც ისეთივე უფლებანი მიეცეს, რანაირიც ირლანდიამ მიიღო. შოტლანდიასაც უნდა თავისი შინაური საქმეების მოსაწესრიგებლად მიეცეს თავისი წარმომადგენლობითი სისტემა, საკუთარი შოტლანდიის კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველჰყოფს შოტლანდიის თავისუფალ განვითარებას.

მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა იმის მომასწავებელი იქნება, რომ ინგლისი ფედერატიულ სახელმწიფოდ უნდა გადაიქცეს. ეს კი აუცილებლად გამოიწვევს მთლად ინგლისის კონსტიტუციის ცვლილებას. ინგლისის სახელმწიფოებრივი აზრიც ამ ჟამად სწორედ ამით არის დაინტერესებული და ფიქრობს იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია. კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის კლასიკური ქვეყანა, უეჭველია, ამ საკითხსაც სძლევს და შესაფერისად დაგვირგვინებს.

## ქართული პრესა

ქართველ მაჰმადიანებში ეროვნული თვითცნობიერების შუქმა შეანათა. შეგნებული ქართველი მაჰმადიანები მოუწოდებენ თავიანთ თანამოძმეთ საერთო ქართულ კულტურულ წყაროს დაეწაფონ. მაგრამ, როგორც ეტყობა, მახინჯი ყველა ოჯახშია მოსალოდნელი. მართლაც, გამოჩენილა ვინმე ყარადაზადე, რომელიც ბაქოს თათრულ გაზეთ „იღბალში", „ბათომის გაზეთი"-ს გადმოცემით, აი რასა სწერს:

„ამ ბოლო ხანებში ქართულ გაზეთებში ვკითხულობთ ქართველ მაჰმადიანების შესახებ წერილებს, რომლებშიაც ავტორი ხან აშკარად და ხანკი დამალულად გამოდის და წმიდა საქმეების ჩხრეკაში არის. მე მგონია, რომ ამისთანა წერილებში წმიდა და თვალით დაუნახველი ერთი მისწრაფება არის. ამის მზგავს მისწრაფებას ხალხისათვის კარგი მხარეცა აქვს და ავიც...

„ისტორიის მიხედულობით ქართველი მუსულმანები ქრისტიან ქართველობიდან გადასულან, ე. ი. ის სხვა ბევრ მუსულმანებსავით უწინ მუსულმანები არ ყოფილან. მათ მუსულმანობა მიუღიათ და თურქებთან შეერთებულან. დღევანდელი მათი ჩვეულება და ხასიათი თურქებიდან მიუღიათ. ამის მიხედულებით დღეს ქართველი მუსულმანები ერთ ბრძანების წინაშე სდგანან. ეს ბრძანება არის ისლამობის ყაბულობა, თურქების ცხოვრების გაუმჯობესობისთვის ბრძოლაში ამხანაგობის გაწევა. მუსულმან ქართველების დედა-ენა ქართულია, მაგრამ თათრული მათი გულის და სულის ამხანაგია. ბევრჯერ თურქებთან ერთათ იარაღით ხელში, ვაჟკაცურათ, ძმური ამხანაგობა გაუწევიათ, რამდენჯერ აწიოკებულან და წვალებაში ჩავარდნილან, მაგრამ სამწუხაროთ, ორივე მხარეს გული დამწვარი დარჩათ. ამის მიხედულებით წერილების მწერავი შუამდგომელი ხალხოსანი „მაჰმადიანი ქართველი" მის წერილებს ცოტათი დაუფიქრდებოდეს, გაიგებდეს ხალხის გრძნობას და ისე სწერდეს, უფრო კარგს იზამდაო და სხვა...

ამის შემდეგ ზემოხსენებული ავტორი ერთმანეთს ადარებს ქართულისა და თურქული ენის ცოდნის მნიშვნელობას:

„რომელიმე გაპარტახებულ სამლოცველოს ანაც დაუკავშირებელი ეროვნული ფანატიკოსობისაგან რა გამოვა? „მაჰმადიანი ქართველი" წარსულის დაბრუნებაზე ფიქრობს და ამის მეტი საფიქრელი არა აქვს-რა. დიაღ, უკან დაბრუნებაც ერთი წინსვლელობაა და რაც შეეხება ენის სწავლას, გარდა ქართულისა თათრული და რუსულიც საჭიროა. თათრული ენის საჭიროებას მოითხოვს ჩვენი სარწმუნოება, რადგანაც უმეტესი წიგნები მუსულმანების თათრულია. „მაჰმადიანი ქართველის" თათრული ენისა და მარიფათის მოუწონლობას ჩვენ ერთგვარ ავად, მყოფობათ ვსთვლით. განა ქართული ლიტერატურა თურქულსავით მდიდარია და ძათ თურქებსავით ძველი განათლება აქვთ? ისტორიის სხვისი სათვალეებით კითხვით, ჭეშმარიტი გამოცდილების მიღება შეუძლებელია და ამისთანა მიმართულება სხვა იღბლის მაჩვენებელია. ვფიქრობ და აქ ვჩერდები".

ამის საპასუხოდ „ბათუმის გაზეთში" ბ-ნი ქართველი მაჰმადიანი სწერს, ჩვენ ძველის აღდგენა არ გვინდა, არც სარწმუნოების შეცვლას ვურჩევთ ჩვენს თანამოძმეებს, ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა, როგორც ქართველებმა, საერთო ქართულ კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღონო.

* *

გაზეთი „იმერეთი" ახლად გარდაცვალებულის კ. მესხის შესახებ სწერს:

„მისის სიკვდილით საფლავში ჩადის ხანგრძლივი მოწმე ქართულის თეატრის დაარსება-აყვავებისა, ადამიანი, რომელიც ბუნებამ სასცენო ნიჭით დააჯილდოვა და რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართულ თეატრს შესწირა. კოტე მესხი ქართული სცენის იმ მოღვაწეთა ვიწრო წრეს ეკუთნის, რომელთა ბიოგრაფიის წერაც, იგივე ქართული თეატრის ისტორიის წერა არის. ეს ისტორია კი ვრცელია, სავსეა შრომით, ნიჭით, ნეტარებით, პატრიოტიზმით, ხელოვნებით, ამასთანავე სავსეა ტანჯვით, ჯაფით, ძიებით! რამდენი ღამე და რამდენი დღე, რამდენი თვე და რამდენი წელიწადი! განა ეს ჩვენ გვახსოვს?! ეს ახსოვთ მხოლოდ ძველებს, ჩვენი თეატრის ძველებს, რომელთა შორისაც განსვენებული, როგორც რომაელები იტყოდნენ, Primus inter pares იყო.

ქართული სცენისათვის კოტე მესხი მარტო მსახიობი არ იყო. ის იყო მისი რეჟისორი, დრამატურგი, მთარგმნელი პიესებისა და ორგანიზატორი".

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

16 მაისის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

ზამისლოვსკი მოახსენებს იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას სატუსაღოებათა განყოფილებისთვის. ცალკე მუხლების შესახებ ლაპარაკობს მამა სტოიანოვი, და გამოსთქვამს სურვილს, რომ ტუსაღთა სულიერსა და ზნეობრივ განათლებისთვის მეტი იზრუნონ. სტოიანოვის ფორმულა უკუაგდეს. მიიღეს ხარჯთ-აღრიცხვა და ფორმულა საბიუჯეტო კომისიისა.

განსახილველია სახალხო განათლების მინისტრის ხარჯთ-აღრიცხვა.

კოვალევსკის მოხსენების შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გადაიდო.

ამოსარჩევია სათათბიროს თავმჯდომარის თანაშემწე. თავმჯდომარე აცნობებს, რომ წინადადება შემოვიდა, არჩევნები სამშაბათამდე გადავდოთო. მემარჯვენეები წინააღუდგნენ ამ წინადადებას. 158 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 138 მიიღეს წინადადება, რომლითაც არჩევნები გადაიდო. მემარჯვენეთა მოთხოვნით კარში გასვლით სთვლიან ხმებს. არჩევნების გადადებას ხმა მისცა 157, წინააღმდეგ 140, თავი შეიკავა 16.

შემდეგი სხდომა საღამოთი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ სალიტ. დილის გადადება. კ. მესხის გარდაცვალების გამო გადაიდვა სალიტ. დილა, რომელიც უნდა გამართულიყო დღეს დილით ზუბალაშვილის სახალხო სახლში კუკიის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ.

✦ დღეს გამოვიდა მორიგი (მე-11) ნომერი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებისა". ჟურნალი საგულისხმოდ არის შედგენილი ❡ დასურათებული.

✦ დღეს გამოვიდა სახუმარო ჟურნალი „ლახტი"-ს (მე-11) ნომერი. სხვათა შორის მოთავსებულია ნინოშვილისა და კოტე მესხის სურათები.

✦ სეირნობა. ორშაბათს 19, სამშაბათს 20, ოთხშაბათს 21 მაისს მუშტაიდის ბაღში ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად გაიმართება დიდი სეირნობა მრავალ გასართობებით. ბაღში შესვლა უფასოა.

✦ ჩამოხრჩობა. 13 მაისს, გათენებისას, ტფილისში ჩამოახრჩეს ქუთაისის მაზრის მცხოვრები ლეონტი რუსაძე, რომელსაც მეარტელეზე თავდასხმისა და ჟანდარმის დაჭრისათვის კავკასიის სამხედრო სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი.

✦ ხორცის გაძვირების მოწესრიგების საქმის შესახებ ქალაქის გამგეობამ უკვე დაამზადა მოხსენება, რომელსაც ქალაქის საბჭო 19 მაისს განიხილავს.

✦ საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ 16 მაისს ღამე მშვიდობიანად გაატარა. გუშინ ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობდა.

დღეს 18 მაისს სიონის საკათედრო ტაძარში სამღვდელმთავრო წირვა იქმნება, რომლის შემდეგაც პარაკლის გადახდიან საქართველოს ეგზარხოს ალექსის ჩქარა განკურნებისათვის. წირვასა და პანაშვიდს გადაიხდის ერევნის ეპისკოპოსი პიმენი.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა საზოგადო წლიური კრება მოხდა. რადგანაც სარევიზიო კომისიას არა ჰქონდა დამზადებული წრის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, ამიტომ გამგეობის ანგარიშისა და მოქმედების არსებითი განხილვა გადაიდო დღეისთვის, საღამოს 6 საათისთვის.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება დანიშნულია 20 მაისისთვის, საღამოს 8 საათზე. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს საზოგადოების ყველა განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვებს.

### სასამართლო

✦ ტრამვაის მუშათა გაფიცვის საქმის გამო სამართალში მიცემული ტრამვაის ცხრა მოსამსახურე ოლქის სასამართლომ გაამართლა.

### რკინის გზაზე

✦ სად. უჯარმა 16 მაისს ერთმა თათარმა მიიღო 4,700 მანეთი ❡ გაემართა თავისი სოფლისაკენ. გზაში დაუხვდა ორი შეიარაღებული კაცი, მარჯვენა ხელის თითები წააჭრეს ❡ ფული წაართვეს. გაძარცულმა ბოქაულს მიჰმართა. მძარცველებს ჩაფრები დაედევნენ, მაგრამ ჯერჯერობით კვალს ვერ მიაგნეს.

### ქუთაისი

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის იმ 82 მერვე კლასის მოწაფეებისაგან, რომელნიც წერით ეგზამენებზე იყვნენ დაშვებული, 20 ჩაჭრილა. დანარჩენ 62 მოწაფეს ზეპირი ეგზამენები დღეს დაეწყებათ.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის განკარგულებით, გაზ. „ჩვენი ერის" გამოცემა მისი რედაქტორის სერგო გერსამიას საქმის გარჩევამდე შეჩერებულია.

### ონი (რაჭა).

✦ ოცდა ათ მაისს, ნაშუადღევის ხუთს საათზე, დაბა ონში, დანიშნულია შოვის სანატორიუმის დამხმარე საზოგადოების წევრთა კრება. კრება. კრების საგანია: 1) მოხსენება კომისიის, რომელიც არჩეული იყო წარსულ კრებაზე, სანატორიუმისთვის ადგილის ასარჩევად, 2) არჩევა გამგეობის წევრებისა, 3) არჩევა საპატიო წევრებისა, 4) უკვე დამტკიცებული „დამხმარე საზოგადოების შოვის სანატორიუმის" წესდების მოძებნა და სხვა.

# კოტე მესხის გარდაცვალების გამო

## დასაფლავების წესრიგი

დღეს, 18 მაისს, დანიშნულია დაკრძალვა დამსახურებულ მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მესხის ცხედრისა.

დილის ცხრა ნახევარ საათზე ძვირფას ცხედარს გამოასვენებენ განსვენებულის ბინიდან (მამა დავითი, პრიუტის ქუჩა, № 6) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება მიცვალებულის წირვა.

სამგლოვიარო პროცესია ეკლესიიდან გაემართება ლორის მელიქოვის ქუჩაზე, შემოუხვევს შტაბის ქუჩაზე და მოვა სასახლის ქუჩაზე, სადაც გაჩერდება ქართულ თეატრის წინ. აქ ქართულ თეატრის მსახიობთა წარმომადგენელი თვის ამხანაგების სახელით გამოსათხოვარ სიტყვას იტყვის.

სასახლის ქუჩიდან პროცესია გამართება გოლოვინის პროსპექტისაკენ და ბარიათინის ქუჩით გავა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე. ამ ქუჩით პროცესია მივა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს დაკრძალავენ ქართველ მსახიობთა ძმობის ადგილზე. საფლავზე წარმოთქმულ იქნება სიტყვები.

### პანაშვიდები.

16 მაისს, საღამოს 7 საათზე, განსვენებული მსახიობის კოტე მესხის ბინაზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი მრავალ ხალხის თანადასწრებით.

გუშინ, 17 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ქართველ მსახიობთა თაოსნობით ქართულ თეატრში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ მსახიობის კოტე მესხის სულის მოსახსენებლად. ჯერ კიდევ 12 საათი არ იყო, რომ თეატრს აურაცხელი ხალხი მიაწყდა და თეატრის ეზო აავსო. პანაშვიდი გადაიხადა ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა კ. ცინცაძემ. გალობდა ფილარმონიულ საზოგადოებისა და ქართველ მსახიობთა შერეული ხორო. პანაშვიდს დაესწრნენ: დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი, თავად-აზნაურობა, ინტელიგენცია, პრესისა და საზოგადო დაწესებულებათა მრავალი წარმომადგენელი, ხარკოვის ქართველ სათვისტომოს წარმომადგენელნი და სხვანი.

—

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრად ნამყოფმა პროვიზორმა ა. შიხინოვმა დრამატ. საზოგადოების გამგეობას 25 მან. გაუგზავნა კოტე მესხის გვირგვინის ნაცვლად და სთხოვა, თუ შესაძლებელი იქნება, ითავოს ქართულ დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლებისგან ისეთ კომისიის შედგენა, რომელიც შეაგროვებს ფონდს განსვენებულის საფლავზე ძეგლის დასადგმელად.

კ. მესხის გარდაცვალების გამო საგანგებო კრება ჰქონდა ქ. შ.წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობას, რომელმაც დაადგინა: 1) შეამკოს განსვენებულის კუბო ცოცხალი ყვავილების გვირგვინით წარწერით: „დამსახურებულ მსახიობს კონსტანტინე სვიმონის ძის მესხის ხსოვნას" და 2) დაესწროს გამგეობა მთელის შემადგენლობით განსვენებულის დასაფლავებას.

კოტე მესხის გარდაცვალების გამო ფილარმონიულ საზოგადოების კრება, რომელიც დღეისთვის იყო დანიშნული, 21 მაისისთვის გადაიდო.

ქართულ. კულტ. მოყვარ. წრის საბჭომ დაადგინა დაესწროს განსვენებული კოტე მესხის დასაფლავებას.

ქალაქის ხმოსანს გ. თოიძეს ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „გთხოვთ ჩვენის სახელით განსვენებულ კოტე მესხის კუბო შეამკოთ გვირგვინით ასეთის წარწერით „სამშობლო სცენის მოღვაწესა და ნიჭიერ მსახიობს.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისაგან

## სამძიმრის დეპეშები და წერილები

სოხუმი. ძვირფასი კოტეს გარდაცვალებამ თავზარი დამცა. დაუყოვნებლივ მოვემგზავრები.

ლადო მესხიშვილი.

ფოთი. გული დაგვწყვიტა ძვირფასი ამხანაგის დაკარგვამ. წარმოდგენები შევაჩერეთ. მოვეშურებით.

ვალერიან გუნია.

ბათომი. ბათომის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უღრმეს მწუხარებას აცხადებს ქართული სცენის დიდებულ და ნიჭიერ მოღვაწის, დაუვიწყარ კოტეს გარდაცვალების გამო. დაკრძალვაზე დასასწრებლად წარმომადგენელსა ვგზავნით.

გამგეობა.

მოსკოვი. მოსკოვის ქართველთ საზოგადოებას თავზარი დასცა კოტე მესხის გარდაცვალების ამბავმა. ჩაჰქრა დიდი ტალანტი. ქართველობა არ დაივიწყებს მას. განსვენებულის ოჯახობას და ქართულს თეატრს ვუგზავნით ჩვენი გულითადი თანაგრძნობას.

თავმჯდომარის მაგიერ თულაშვილი.

ქუთაისი. ღრმად დაგვამწუხრა ძვირფასი კოტეს უდროოდ გარდაცვალებამ. ყველა სცენის მოყვარეებთან ერთად ვგლოვობ და ვტირი. ჩემი თანაგრძნობა გადაეცით განსვენებულის ქვრივს. ვწუხვარ, რომ მის დაკრძალვას პირადად ვერ ვესწრები.

პურადაშვილი.

ქუთაისი. ვგლოვობთ ქართული თეატრის პირველ პიონერის, ძვირფასი კოტეს გარდაცვალებას. ვწუხვართ, რომ პირადად ვერ ვესწრებით მის დაკრძალვას.

დავით ჩხეიძე, ბონდო კოკინია.

ოზურგეთი. აღარა გვყავს ქართული სცენის დამსახურებული მსახიობი. იგი დიდი დანაკლისია ჩვენი სცენისათვის.

ნეველინა და ნინო წუწუნავები, გოგიტიძე, მუმლაძე.

ქუთაისი. ვიზიარებთ საერთო მწუხარებას მხცოვანი სცენის ქურუმის კოტე მესხის დაკარგვის გამო.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა ჯგუფი.

ქუთაისი. გაზეთ „იმერეთის" რედაქცია იზიარებს სამშობლო თეატრის დიდ მწუხარებას მაღალ ნიჭიერ და საყვარელ მსახიობის, კოტე მესხის გარდაცვალების გამო.

—

ყვირილა. მწარედ დავსტირით კოტეს გაციებულ გვამს. გული გვიკვდება, რომ არ შეგვიძლიან მივიდეთ და უკანასკნელად ვეამბოროთ ძვირფასი მასწავლებლის ძვირფას ნეშტს.

მარო მდივანი, ურუშაძე, სანდალა.

—

ტფილისი. მუხლს ვიდრეკთ დაუვიწყარ კოტეს ცხედრის წინ.

მესამე ვაჟთა გიმნაზიის მოწაფენი.

—

ჭიათურა. უღრმესი მწუხარება განვიცადეთ ჩვენი სცენის მხცოვან მოღვაწის გარდაცვალების გამო. მუხლს ვიდრეკთ სამშობლო სცენის ძვირფასი მოღვაწის ცხედრის წინაშე. განსვენებულის ქვრივს გარდაეცით ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა.

ჭიათურის დრამატიული წრე.

ბათომი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათომის განყოფილების გამგეობა უერთდება ქართველი საზოგადოების საერთო გლოვას სამშობლო სცენის ნიჭიერი მუშაკისა და პატიოსანი საზოგადო მოღვაწის კოტე მესხის უდროვოდ გარდაცვალების გამო.

გამგეობის თავმჯდომარე ელიავა.

## ღიღური

კ. მესხის ხსოვნას

იყო და აღარ არის...

აღარ არის ნიჭიერი, ნაყოფიერი, მხნედ მომუშავე მსახიობი, ერთგული ბურჯი სამშობლოს სცენისა; მოსიყვარულე შვილი თავის დედისა;

აღარ არის ის, ვინც თავის კერას მხოლოდ ქართულ თეატრში ჰპოვებდა, ქართულ სცენაზე იცინოდა და სტიროდა, ვისთვის თეატრი იყო მხოლოდ ტაძარი, ვის სამლოცველოს ქართული ხელოვნება შეადგენდა. აღარ არის ჩვენი მხიარული, მამახვილი, გულგაშლილი, კეთილი, უბრალო კოტე!

ჩემის გონების თვალს ვერ წარმოუდგენია, რომ აწ ვეღარ შევხვდები იმედიანს კოტეს ქუჩაში, ბაღში, თეატრში, საზოგადოებაში, ვეღარ გავიგონებ მის ღიმილიანს ცოცხალს სალამს, ვეღარ შევეკითხები მშობლიური სცენის ამბებს. ასე მგონია, თვალწინ უცვლელად სდგანან მისი განსახიერებული გმირები და წინანდებურად ვსტკბები მათის მოსწრებულის სიტყვით, მდიდარის სახის გამომეტყველებით, მწარე ირონიით და გონიერის, მხატვრულის სულიერის მოძრაობით ჩემის გულის სიღრმეს წვდებიან. შორიდან ვუცქერი ქართული თეატრის შენობას და ისე ვფიქრობ, რომ სცენაზე, კულისებში, დარბაზში, ფოიეში ეხლა მხოლოდ კოტეს აჩრდილები დადიან, სხედან, ბჭობენ, კამათობენ; მთელი თეატრი გაუვსიათ, ყველაფერი დაუპყრიათ და ყოველ კუთხეს, ყოველ კუნჭულში მარტო მათი მადლიანი სიცილი გაისმის ან გულიდან ამოხეთქილი ნაღველი, სევდა!

იყო და აღარ არის... განა ამას ვფიქრებდით ამ რამდენისამე დღის წინად? იგი ცოცხალი, ალერსიანი იყო და აზრად არ მოგვსვლია, რომ უხილავი მტერი ბასრის ცელით მის გვერდით იდგა და მოუთმენლად ითვლიდა სიცოცხლის საათებს. ვინ იცის, ეგებ უმადურებიც ვიყავით—უმადურობა და ეგოიზმი ხომ ცოცხალთა აუცილებელი თვისებაა—და მის შეხვედრას, სალამს არ ვუპასუხეთ სრულის სალამით, მეგობრობით კეთილის გულით? გვეგონა თუ ხვალ ისევ შევხვდებოდით, მაგრამ მისი ხვალე აღარ გათენდა ჩვენთან, იგი აღარ შეგვხდა და წავიდა გამოუსალმებლად სხვა ქვეყნად, რომელიც წყვდიადია თუ დაუსრულებელი მზე არავინ უწყის; არავინ უწყის ისევ იმედით და ნდობით შემოგვცქერის იქიდან ჩვენი მეგობარი მასწავლებელი თუ, სამუდამო დუმილი გადაეკრა მის ბაგეს.

ბრძენი ბელგიელი პოეტი ამბობს: ყოველს ადამიანს ისე უნდა შევხვდეთ, რომ ვითომც ეს შეხვედრა უკანასკნელი იყოს. ჩვენი მისდამი მიმართული სიტყვა უნდა იყოს სიყვარული და ხელის ჩამორთმევა—სინაზე, თბილი გულის ცემით. ჩვენ კი სამწუხაროდ ისე შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს, თითქოს ამ ქვეყნის მუდმივი მკვიდრნი ვიყვნეთ და ყოველთვის შეგვეძლოს ჩვენს უგულობის და შეცოდების გამოსწორება.

კოტე კი განსაკუთრებით ღირსი იყო სიყვარულის, პატივისცემის, მადლობის და მისალმების. ქართული თეატრის განვითარების საქმეში მას დიდი ამაგი და ღვაწლი მიუძღვის. რამდენიმე ამხანაგთან ერთად მედგრად უდგა იგი ქართულ სცენას სათავეში და დაუღალავად კალმით და სიტყვით, როგორც დრამატურგი და როგორც მსახიობი, როგორც ხელმძღვანელი და როგორც უბრალო მოთამაშე მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა მძიმე უღელს ქართული სასცენო ხელოვნების გასავითარებლად, გასაძლიერებლად, ასაყვავებლად. დღეს თუ არც ერთი ჩვენი ეროვნული დაწესებულება არაა ისე მტკიცე და ნიადაგიანი, როგორც ქართული თეატრია, ამისთვის ყველაზე უწინარეს უნდა ვუმადლოდეთ კ. მესხს და მის ამხანაგებს, რომლებიც მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებისა და გაჭირვებისა უზომო სიყვარულით და თავდადებით ემსახურებოდნენ სამშობლოს თეატრს. ნამეტურ ვერ დაივიწყებს კოტეს ქუთაისი, სადაც იგი გასაოცარის ენერგიით მუშაობდა და გაუტეხელად ებრძოდა საზოგადოების გულცივობას და მოუმზადებლობას.

განსვენებული ეკუთვნოდა იმ იშვიათს, ნიჭით მდიდარს ოჯახს, რომელმაც მოგვცა ცნობილი ლიტერატორი ს. მესხი, მსახიობი ეფ. მესხი, მსახიობი და მწერალი დ. მესხი. ბევრის ღირსებით იყო შემკული განსვენებული კოტე. მისი მდიდარი მრავალ-მხრივი ნიჭი ყოველ ეჭვს გარეშეა. ამის ჩამოთვლა არ მინდა აქ. ხოლო არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ერთი მისი მშვენიერი თვისება. დღეს ჩვენი თეატრი განახლების გზას ადგება; თუმცა ჯერ გაბედულად და გარკვეულად ვერ მოქმედობს, მაგრამ აშკარაა, რომ ეძებს ახალს ფორმებს, ახალს საშუალებას. მისი დღევანდელი კრიზისი ბრძოლაა ძველსა და ახალს შორის, ახალი თაობა ებრძვის ძველს. ამ ბრძოლაში კოტეს გული ახლებისაკენ იყო და ნდობით და იმედით შესცქეროდა მათ მუშაობას. სწამდა, რომ სიცოცხლე მუდმივი განვითარება, გაუჩერებელი წინსვლაა, ახალის შეთვისებაა და თუ გვიყვარს ქართული დრამატიული ხელოვნება, უნდა ვეცადნეთ, რომ იგი არ გაჩერდეს ერთს წერტილზე, არ გაიყინოს, არ იქნეს უძრავი. ეს თვისება კოტე მესხის კულტურობის და ნაზი გულის ნაყოფი იყო.

ნაზის გულით გავყვეთ დღეს მის ძვირფას გვამს, სიყვარულითა და მადლობით მივაცილოთ უკანასკნელის განსვენების ადგილამდის, მივუძღვნათ გამოსათხოვარი სალამი იმ სიამოვნებისთვის, რომელიც არა ერთხელ განგვიცდია მისის შემოქმედებით, იმ მრავალი კეთილი გრძნობისათვის, რომელიც აღუძრავს მას ჩვენში, და უფრო შევიყვაროთ მშობლიური თეატრი, უფრო გულმხურვალედ ვემსახუროთ მის განახლებას...

სიტყვა.

## ქართული თეატრის დედაბოძთაგანს

(კ. მესხის ხსოვნას)

იკლაკნება და მირბის ვიწრო ბილიკი მაღლობზედ. უხვევს და გაუძვრის შავს დაბურულ ტყეს. ხან მარცხნივ შეუხვევს-გამოუხვევს, მაგრამ მაინც ზევით და ზევით მიიწევს... დაღლილი, დაქანცული მელპომენა შეუდგა ბილიკს. თან მისდევენ ხუთიოდე ერთგული მხლებელნი... მძიმეა გზა, დიდია აღმართი. ხან ფეხი უსხლტებათ, დაცურდებიან.. ხან მუხლს ეცემიან, ძლივს და სუნთქავენ.. გაშტერებულნი შესცქერიან მგზავრებს დახავსებული მუხები, წვრილი დაკლაკნილი იფნები, ებღაუჭება ასკილი, თითქოს აფრთხილებს:

— „სად მიხვალთ? რას ეძებთ? რა შეგიძლიანთ, მშიერნო მწყურვალნო“?

მელპომენას გული უღონდება, მუხლები მოსწყდა, სადაცაა წაბარბაცდება, მზადაა ძირს დაეშვას... საზარელის ხმით ხარხარებს ვიღაცა ტყის ჯურღმულში:

„უგუნურებო, თქვენ შესძლებთ რასმეს?.. რის მქონენი, ვისი იმედით?“

გული სწყდებათ მგზავრებსა, მაგრამ აი ერთმა მგზავრთაგანმა საზარელს ხარხარს სტყორცნა მახვილი, ოხუნჯი სიტყვა და გაიღიმა მელპომენამ, გაუღიმეს მხლებლებმა. ეცილებიან ერთმანეთს, ხელს აშველებენ მელპომენას და თითქმის ძალით მიჰყავთ.. სულ ზევით, ზევით... ავიდნენ.. სერზე პატარა ველია, შორიდან არცი კი მოსჩანს...

—„იქმნას აქ ტაძარი ჩემი“—სთქვა მელპომენამ, და შეუდგნენ ტაძრის შენებას ხუთიოდე მხლებელნი: თითებით სჩიჩქნიან მიწას, ზურგით მოაქვთ ქვა, ქვას ქვაზე აკოწიწებენ... კვლავ გაისმის საზარელი ხარხარი: „რას შვრებით უგუნურებო? რა შეგიძლიანთ? შიმშილ წყურვილით იხოცებით.... ტყუილ-უბრალოდ სცდებით“...

მკლავები დასწყდათ მუშაკთ, ოფლი წურწურით ჩამოსდით, დაქანცულები ბარბაცებენ... მაგრამ კვლავ გაისმა მახვილი ოხუნჯი სიტყვა დაუღალავ მუშაკისა და კვლავ მედგრად შეუდგნენ მელპომენის მსახურნი ტაძრის შენებას... აშენდა პატარა ტაძარი და ვით ვარსკლავმა ბნელ ღამეში გააშუქა დაბურული ტყე. შეკრთა ტყე, გაკვირვებულმა განზედ გაიწია, ბილიკი გაფართოვდა, საურმე გზად გადაიქცა... მოჰყვა მლოცველი, მისი რიცხვი თან და თან მატულობს, ტაძარიც ფართოვდება, იზრდება, მაღლდება... დარაჯად უდგანან ერთგულნი მხლებელნი მელპომენისა, ვინც ამოიყვანეს იგი აქ, ვინც აუშენეს ტაძარი... დრო მირბის და წელთა ბრუნვაში თან და თან ესალმებიან სათაყვანებელ ტაძარსა ერთგულნი დარაჯნი... მათ სცვლიან ახლები.. მაგრამ ჯერ კიდევ ხშირად გაისმის სახუნჯი მახვილი სიტყვა მელპომენის ძველი ერთგული მსახურისა, ოხნევებს ახლებს, აგონებს ძველებს და უღელს უწევს ყველას... მაგრამ დრო მაინც მირბის, დღე დღესა სცვლის და მზიან დღეს ღრუბლიანი, ავდრიანი მოსდევს... მოიღრუბლა, დამძიმდა ჰაერი და მძიმე ტვირთის მზიდავი მედგარი მუშაკი, ის ვინც ამოიყვანა საშინელ აღმართზე მელპომენა, ვინც აუშენა მას ტანჯვით და ოფლით ტაძარი, ვისი ოხუნჯი მახვილი სიტყვა ღიმილს იწვევდა და დაქანცულთ ამხნევებდა... გამოესალმა სათაყვანებელ ტაძარს... წაიქცა ქართული სცენის ერთი დედა-ბოძთაგანი... აღარ ისმის ოხუნჯი მახვილი სიტყვა... აღარა გვყავს კოტე მესხი...

პირველად რომ დავხედე მის ახლად გაციებულ გვამს პაწია ოთახში დასვენებულს, თვალზე ცრემლი მომადგა, უნებურად მომაგონდა სურათი „სიკვდილი ნაპოლეონისა“ და უკანასკნელი სევდით სავსე გულშემზარავი სიტყვები: „იმპერატორი გარდაიცვალა“. დიაღ, ჩვენი სცენისთვის გარდაიცვალა მესხი-„ნაპოლეონი“, მესხი-„ნერონი“.

განისვენე მშვიდათ დაუვიწყარო ნიჭიერო მუშაკო! სამშობლო მიწა, რომელსაც შენ დაუღალავად ემსახურებოდი, რბილ თივთიკის ბალიშათ გადაგექცევა და ვით მშობელი დედა ჩაგიკრავს გულში... მშვიდობით წინამძღოლო და ამხანაგო!

ი. გედევანიშვილი.

# კრიალოსანი

ძვირფას კოტე მესხის ხსოვნას

და, შეწინწკლული სიცოცხლის წვიმით
ხელთ კრიალოსანს ვათამაშებდი:—
ღიმილის ვერცხლში ვერცხლოვან ღიმით
ღიმილს ვეძებდი.

და, მაგრამ მგოსანს, ჩემნაირ მგოსანს
ექნება განა ყოფნა მუდმივი?—
გამიწყდა ძაფი და კრიალოსანს
მოაკლდა მძივი.

ი. გრიშაშვილი.

## ბატონი იშხანიანი და ლორდი ბიკონსფილდი*)

ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის მნიშვნელობა ეროვნების ცხოვრებაში განიზომება არა მარტო მისი რაოდენობით, არამედ აგრეთვე მისი ეკონომიური მდგომარეობით, მისი პოლიტიკური შეგნებით, მისი კულტურული განვითარებით. თანამედროვე საქართველოში მოიპოვება ერთი კლასი, ხოლო თანამედროვე სომხეთში ერთი წოდება, რომელიც თავის მცირერიცხოვანების მიუხედავად ნიშანდობლივს დაღს აჩდობს ამ ორი ეროვნების სოციალურს ფიზიონომიასა და ფსიხოლოგიას. ის კლასი ქართველი პროლეტარიატია, ეს წოდება კი სომხის კლერუსი ანუ სამღვდელოება.

თავის „კრიტიკულს ანალიზში“ ბატონი იშხანიანი უყურადღებოდ სტოვებს ამ ორს სოციალურ ჯგუფს. ეს გარემოება კიდევ უფრო ამახინჯებს მის მიერ დახატულს ტენდენციურს სურათს „ქართველ-სომხური სინამდვილისა“.

თანამედროვე საქართველოსთვის შეიძლება არც ერთი საზოგადოებრივი კლასი არ არის ისე დამახასიათებელი, როგორც პროლეტარიატია. ჩვენ ახალგაზდა ბურჟუაზიასთან ერთად ის წარმოადგენს მომავალი საქართველოს ჩანასახს, ჩვენს მრავალრიცხოვან გლეხობასთან ერთად ის შეადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს ჩვენი კულტურული შემოქმედება. ქართველი მუშათა კლასი კიდევ უფრო მოძრავი და აქტიური ელემენტია ვიდრე ქართული გლეხობა. ის სავსებით თანამედროვე მსოფლიო მხედველობის ნიადგზე სდგას. ის გამსჭვალულია სოციალისტური და დემოკრატიული აზროვნებით, მასში ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს ტერიტორიალური ავტონომიის იდეაც. ამას ზედ ერთვის მისი სიყვარული ეროვნული მწერლობისა, ეროვნული ხელოვნებისა, ეროვნული თეატრისადმი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მოთხოვნილებანი სავსებით ეთანხმებიან ქართველი ერის ვიტალურს ინტერესებს.

მაგრამ მაშინ, როცა ქართველი დემოკრატიის ავანგარდს პროლეტარიატი წარმოადგენს, სომხის ხალხის იდეური აღმზრდელი და ხელმძღვანელი სამღვდელოებაა. ეს წოდება კი ნამდვილი საშუალო-საუკუნოებრივი მოვლენააა, როგორც თავისი სოციალური როლით ისე თავისი ფსიხოლოგიით. ის მცირე რიცხოვანია, მაგრამ მის ხელშია უდიდესი კულტურული იარაღი—პირველ დაწყებითი სკოლა და უძლიერესი ეკონომიური საშუალება—საეკლესიო ქონება.

სომხობის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაცია, ეროვნული ეკკლესია დაფუძნებულია არა თანამედროვე პოლიტიკურს და ტერიტორიალურს, არამედ საშუალო საუკუნოებრივს ექსტერიტორიალურსა და რელიგიურს პრინციპზე. ის ამ ერს აერთებს არა მიწა-წყლისა, ენისა ან კულტურის, არამედ სარწმუნოების და კულტის ნიადაგზე. ამ სარწმუნოების უზენაეს მატარებლად კი იერარქია გამოდის.

ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ კლერიკალური იდეოლოგიის გავლენა სომხის ხალხს ასე ძლიერია და რომ ეს ხალხზე თავისი ფსიხოლოგიით ბევრად უფრო ჩამორჩენილია ვიდრე ქართველობა.

ეს ფსიხოლოგია გამტკიცებულია ისტორიულად. მაშინ როცა საქართველოში საერო ეპოსები იწერებოდა და სპარსული რომანები ითარგმნებოდა, სომხური ლიტერატურა თითქმის გამოუკლებლივ სქოლასტიური ტემებით იკვებებოდა. „მუსულმანთა ბატონობის დაწყებამდე მთელი სომხეთი აღელვებული იყო დოგმატიურ, და სღვთისმეტყველო დისპუტებით, სკოლათა და მიმართულებათა კამათით; ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა არა მარტო საზოგადოების განათლებული წრეები, არამედ ხალხის ფართე მასსაც“. (შეად. ტიგრანიანი, სომხები. „ფორმები ეროვნული მოძრაობის თანამედროვე სახელმწიფოებში“ პეტერ. გვ. 507).

სომხის სამღვდელოებას გვერდში უდგას სომხის ბურჟუაზია როგორც ეკონომიურად გაბატონებული კლასი.

ბატონი იშხანიანი აღფრთოვანებულს დითირამბებს უგალობს სომხის კაპიტალს. მისი შეხედულობით ეს უკანასკნელი ისეთივე როლს თამაშობს საქართველოში, როგორიც ახალშენებსა და უკან ჩამორჩენილს ქვეყნებში ევროპის კაპიტალს აქვს მიჩნეული. კიდევ მეტი: თვით იდეოლოგია ამ კაპიტალისა—სომხური ბურჟუაზიული ნაციონალიზმი „სადი, კულტურული და პროგრესსიული“ მოვლენაა და შეუდარებლად მაღლა სდგას ქართულს ავადმყოფ, უკულტურო და რეაქციონურს შოვინიზმზე. პირველი მახარობელია მომავალი ტეხნიკისა, ინდუსტრიისა და კომერციისა, მეორე კი მიმავალი აგრიკულტურის და ხელოსნობის დამტირალი. პირველი წაგავს ევროპის და ამერიკის იმპერიალიზმს, მეორე კი ამ ქვეყნების ანტისემიტიზმს.

ლოგიკა ამბობს, რომ თვით მოხერხებული ანალოგიაც კი დამტკიცება არ არისო. მით უმეტეს არ შეიძლება დამტკიცებად ჩაითვალოს ანალოგია, რომელიც ორივე ფეხით კოჭლობს და ორივე თვალით ელმაცერად იცქირება.

ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება ევროპის და სომხის კაპიტალს შუა ის არის, რომ პირველი ეროვნულს ნიადაგზე აღმოცენებული და ეროვნული კულტურის განმტკიცებას ემსახურება, მეორე კი საერთაშორისო ნიადაგით საზრდოობს და დენაციონალიზაციის საქმეს ეხმარება.

საფრანგეთის კაპიტალი წარმოიშვა არა ალჟირსა, მაროკკოსა ან ინდოჩინეთში, არამედ თვით საფრანგეთში. ბელგიის კაპიტალი წარმოიშვა არა რუსეთში, არამედ თვით ბელგიაში. ევროპის კაპიტალი ახალშენებსა და ჩამორჩენილს ქვეყნებში გარედან შედის და თან ტეხნიკური და იდეური ღირებულებები შეაქვს, პირიქით სომხის კაპიტალის ძირითადი ფონდი წარმოიშვა საქართველოში და თათრების პროვინციებში, წმინდა სომხური ტერიტორიიდან მას აქ არავითარი ეკონომიური ან სულიერი სიმდიდრე არ მოუტანია.

ამას ზედ ერთვის ის გარემოება, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალი უწინარეს ყოვლისა ინდუსტრიალური კაპიტალია და ახალშენებსა თუ ჩამორჩენილს ქვეყნებში ხელს უწყობს ფარული ბუნებრივი სიმდიდრის აღმოჩენას და წარმოების განვითარებას. ბატონი იშხანიანი მართალია როცა ის სამხრეთ რუსეთის წარმოების განვითარებას ბელგიის, ინგლისის და შვეციის კაპიტალის შემოსვლით ხსნის. მაგრამ სომხური კაპიტალი ამ მხრივაც არსებითად განსხვავდება დასავლეთ ევროპიულისაგან: ის უარეს შემთხვევაში ჩარჩულია, საუკეთესო შემთხვევაში კი კომერციული და მაშასადამე მხოლოდ სხვის მიერ შექმნილი სიმდიდრის დატრიალებასა და განაწილებასა ემსახურება.

ამ გვარად სომხის ბურჟუაზია ანაციონალურია იდეურად და ჩამორჩენილი ეკონომიურად: ჩვენს სამშობლოში ის არსებითად კულტურის შემაფერხებელს ფაქტორს წარმოადგენს.

თვით სომხების საზოგადო მოღვაწეებისათვისაც კი აშკარაა ის გარემოება, რომ სომხის კაპიტალი მხოლოდ სახელით ჰგავს ევროპისას, რომ ის თავისი ფორმითა და შინაარსით სპეციფიური მოვლენაა. მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბატონი ტიგრანიანი შემდეგს სწერს ზემოდ მოყვანილს წერილში: „სომხური მსხვილი ბურჟუაზია კავკასიაში შესდგება ორი-სამი ბაქოელი ნავთის მწარმოებელისაგან, რომელიც ყველაზედ მეტადაა გადაგვარებული და სრულიად გულგრილად უცქერის როგორც ეროვნულს ცხოვრებას ისე სომხის ხალხის ინტერესებს. განუვითარებელია საშუალო ბურჟუაზიაც, რომელიც უმეტეს ნაწილად ტფილისშია თავმოყრილი... სომხების ხელში არ არის არც გარეშე ვაჭრობა კავკასიის და არც საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა; ამასთან ერთად ისინი გაბატონებულნი არ არიან წარმოების არც ერთს დარგში. მსხვილი ვაჭრობა წარმოებს ბაქოს, ტფილის და ქუთაისის გუბერნიაში (და არა რუსული სომხეთის რაიონში) და უმეტეს ნაწილად უცხოელების ხელშია... სომხობაში განვითარებულია არა ბურჟუაზია, არამედ წვრილი ბიურგერობა. ქალაქებში თავმოყრილ სომხებს შორის 93 პრ. მეტი ხელოსნობას მისდევს, და მხოლოდ 6 პრ. წვრილ და საშუალო ვაჭრობას“. (იქვე, გვ. 516—517).

ასეთია ნამდვილი სახე იმ სომხური „მსხვილ ბურჟუაზიული დევგმირისა“, რომელიც ბატონ იშხანიანის აზრით საქართველოს გადასახალისებლად არის მოვლენილი. რავდენადაც უფრო საშიში იყო ის შორიდან, მით უფრო ქლექიანი და ფერმკრთალი აღმოჩნდა ახლო დაკვირვების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ეროვნული მეურნეობისა და კულტურის გარდასაქმნელად ის არ კმარა. მით უმეტეს თუ სახეში მივიღებთ მის სულიერ ავლადიდებას, სომხურ ნაციონალისტურ იდეოლოგიას.

რა განსხვავებაა სომხურ ნაციონალიზმსა და დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმს შორის? დაახლოვებით ისეთივე როგორიც ბატონ იშხანიანნებსა და ბიკონსფილდებსა და ჩემბერლენებს შორის არის. ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის ან ამერიკის იმპერიალიზმი შედეგია გადაჭარბებული ეროვნული ენერგიისა. ეს სულიერი და ფიზიკური მორჭმულობა ეროვნული ორგანიზმის გაშლის და გაფართოების სურვილს იწვევს ბუნებრივად. სომხური შოვინიზმი კი ეკონომიური და იდეური იმპოტენტობის გამოხატულებაა. ის უკანონო ნაყოფია იმ არაბუნებრივი შეუღლებისა, რომელსაც სომხის ბურჟუაზიის და სომხის სამღვდელოების კავშირი ეწოდება. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ მაშინ როცა იმპერიალისტური პოლიტიკის დამახასიათებელი თვისებებია სიამაყე, პირდაპირობა და სიძლიერე, სომხური ნაციონალიზმის უაღრესი თვისებები ტლანქი ცინიზმი და იეზუიტური პირფერობაა.

ლორდი ბიკონსფილდი ინგლისური იმპერიალიზმის საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება. ბატონი იშხანიანი შეიძლება სომხური ნაციონალიზმის საუკეთესო წარმომადგენლად ჩაითვალოს, მიტომ რომ მისი ბროშურა შედევრია ბურჟუაზიული ცინიზმისა და კლერიკალური პირფერობისა.

გერონტი ქიქოძე.

*) იხ. „სახ. გაზ.“, 3, 6, 13, მაისი.

## მუშათა ცხოვრება

ტფილისის თორნეების მომუშავეთა გამარჯვება.

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ტფილისის მეთორნე მომუშავეებმა თვის პატრონებს ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს და გააფრთხილეს ისინი, რომ უკე თუ მოთხოვნილებას არ დაკმაყოფილებდნენ, მუშები გაფიცვას გამოაცხადებენო. პატრონებმა თავიდანვე არ მოისურვეს მომუშავეების დაკმაყოფილება და საქმე გაფიცვამდე მიიყვანეს. ათ მაისს მეპურეთა გაფიცვა დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში მუშების გაფიცვას ისეთი ფართო ხასიათი არა ჰქონდა. მაგრამ, რაც დრო მიდიოდა გაფიცულთა რიცხვი იზრდებოდა. მაინც რამდენიმე თორნეებში მუშაობა სწარმოებდა. პატრონები მუშებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ცივ უარს ეუბნებოდნენ, დათხოვნასა და დუქნების დაკეტას ემუქრებოდნენ, მაგრამ, როდესაც დაატყეს, რომ მუშათა გადაწყვეტილება მტკიცე იყო, მოლაპარაკების გამართვა მოისურვეს. 14 მაისს პოლიციემეისტერის ნებართვით კრება მოხდა მუშებსა და პატრონებსა. ამ კრებაზე მოხდა ორივე მხარის შეთანხმება: პატრონებმა მუშების მოთხოვნილებათა უმრავლესობის დაკმაყოფილება შესაძლებლად სცნეს მცირეოდენის ცვლილებით. 15 მაისს უკვე მუშაობა განახლდა და გაფიცვა დასრულებულად გამოაცხადეს.

ამ რიგად მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დაგვირგვინდა. გაფიცვამ ოთხ დღეს გასტანა და მშვიდობიანად ჩაიარა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

16 მაისი.

**უცხოეთი.**

**მადრიდი.** მაურა 15 მაისს პალატიდან რო გამოდიოდა იმის მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის შეტაკება მოხდა. ჩხუბობდნენ ჯოხებით. რამდენიმე კაცი დაშავდა. ბევრი დაატუსაღეს.

**ვენა.** „კორესპონდენც-ბიუროს“ დეპეშით ატყობინებენ დურაცოდან, რომ დავრიში ბეი ელბასანი, აჯანყებულთა უმთავრესი მეთაური, ჟანდარმებს ტყვედ წაუყვანიათ. პრინცესა ვიდი უკანასკნელ შეტაკების დროს დაჭრილებს ყოველ დღე ნახულობს.

**ობერნდორფი.** (შვარცვალდი) ინჟენერი მაუზერი, ცნობილი თოფის გამომგონი, გარდაიცვალა.

**მონრეალი.** კანადის მთავრობა ევროპიელ მუშებს წინადადებას აძლევს, ნუ გადმოხვალთ, რადგან აქ უმუშევრობააო.

**ველინგბორო.** ლონდონიდან მოსულ ვაგონში იპოვეს ყუმბარა, რომელიც სუფრაჟისტებს დაედოთ.

**ლონდონი.** საამშენებლო მუშებმა 21017 ხმით წინააღმდეგ 5824 გაფიცვის განგრძობა გადასწყვიტეს. გაფიცვა 18 კვირაა, რაც დაიწყო.

**ბელგრადი.** ალბანეთის აწეწილი მდგომარეობით სარგებლობენ სადიგრანო, ბრაიტმეური და ისაბოლეტინაცი, რომ სერბიისა და ჩერნოგორიის სამზღვრებზე არეულობა მოახდინონ.

**ვაშინგტონი.** საბერძნეთმა იყიდა ორი გემი 11726000 დოლარად.

**ვენა.** „კორესპონდენც-ბიუროს“ დურაცოდან აცნობებენ, მდგომარეობა შეუცვლელად დარჩაო საერთაშორისო საკანტროლო კომისია დარწმუნდა, რომ აჯანყება ახალგაზდა ოსმალოთა წრეების ბრალია და დაადგინა სახელმწიფოებსა სთხოვოს, რომ სტამბოლში სერიოზული ყურადღება მიაქციონ.

**პარიზი.** დაადგინეს, რომ ქ-ნი კაიო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცენ.

**დურაცო.** სასახლის რაიონს იტალიელი და ავსტრიელი ზღვაოსნები იცავენ. 9 საათის მერე ამ რაიონში არარავის უშვებენ. ვალონში გაიგზავნა ორი ზარბაზანი და ორი ტყვიის მფრქვეველი.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის დელეგაციამ გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო და მინისტრის პოლიტიკას ნდობა გამოუცხადა.

**რუსეთი.**

**ოდესა.** საავთიაქო საქონლით მოვაჭრე სამხრეთ-რუსეთის საზოგადოების საწყობში ცეცხლი გაჩნდა. აფეთქდა ეთერი. ოთხი მოსამსახურე მძიმედ დაშავდა.

**ვორონეჟი.** სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის სადგურ მძინოვსკიზედ საქონლის მატარებელი დაიმსხვრა. დაიღუპა 4 კონდუქტორი მოკვდა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა საკანონმდებლო დაწესებულებებში შესატანად პროექტი—კავკასიონის მთებზედ კავკავიდგან ტფილისამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. გზა დაიწყობა სადგურ ზემო ავჭალიდგან. დაჯდება 104216132 მანეთი. სამინისტრო ითხოვს ნებართვას 1914 წელში 1 მილიონი დავხარჯო გზის გამოსაკვლევადო.

რედაქტორი ნ. ქურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

## [illegible]ოჟ[illegible] დ ე[illegible]ა

სახლი: ორი ქვითკირის ოთახიანთავისი სამზარეულოთი, 90 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით მე-9 საპოლიციო ნაწილში, არდონის მისახვევი (დოლუხანოვის ადგილში). ფასი ხელმისაწვდენია.

მოლაპარაკება შეიძლება: მალაკნის ქუჩა, მეპურის დუქანში, № 42, ფილიპე მაისაშვილთან. 352

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

**ექიმი გ. მუსხელიშვილი** მიიღებს [illegible]ავადმყოფ. დილის 9—11½ [illegible]საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი** ქალთა ნინო რცხილაძე, გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.



1208



მიღებული აქვს მრავალი ჯილდო რუსეთისა და საზღვარ-გარეთის გამოფენაზე.

**მთელს ქვეყანაზე საუკეთესო ამერიკული კოსმეტიკა**

## „იმშა მეტამორფოზა"

ძიძიბებისა და ჭორფლის წინააღმდეგ და პირის კანის სინორჩისათვის, **კანს ანაზებს და ხანთრჩეს აძლევს.**

მოითხოვეთ მხოლოდ პლომბიანი და წარწერით „jmcha"

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

კრემი—1 მ. 70 და 50 კ., **საპონი** 50 და 30 კ. პუდრი 75, 40 და 15 კ.

მეტცლი 25381. 1152

**ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

ვეფხის ტყაოსანი. ყდიანი ტფ 1903 წ. . . . 1 მ.—
იგივე ქართვ. გამოც. 1888 წ. ყდით . . . . 11—65 კ.
იგივე. საუკეთესოდ დაკაზმ. 17—
გრდემლი. სალიტ. კრებული I. 1912 . . . 1—50
იგივე 1912 წ. . . . 1—50
ვეფხის ტყაოსანი ინგლისურ ენაზე . . . . 6—
იგივე, გერმანულად ნათ. ლეი-[illegible]სტის მიერ . . . 1—50
ქართვ. პოეტების ლექსები. ნათ. მისივე . . . . 1—25
ქართვ. ხალხი. გერმან. მისივე 1—50

**ახლად მიღებული წიგნ[illegible]**
მარრი ნ. Замѣтки по текстамъ С[illegible] писанія въ древнихъ переводах[illegible] Грузинъ и Арм. .
— Яфетическіе эл. въ Яз. Арменіи [illegible]
— ალაპნი ჯვარის მონასტრისა და იერუსალიმსა შინა. პეტ. 1914 წ.
კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი 1914 წ.
ფრონელი ა. მთის არწივი შამილი
ა. ჯორჯაძე. თხზულებანი V .
ელგუჯა . . . .
სამზარეულო შედ. ბ. ჯორჯაძისა .
გიუ დე-მოპასანი. ტფ. 1914 წ. .
მიწერ-მოწერის წიგნი 1914 წ. .
პატარა მუსიკა. სიმღ. ნოტებზე ა. ყარაშ[illegible]
გრიშაშვილი. სრული ლექსთა კრებ.
ანტონ ნიკ. ფურცელაძე .

**ადრესი:** Тифлисъ. Книжн. маг. О-ва распр. грамотн. 1[illegible]

ინჟინერი ი. ს. პონდოევი

**ტფილისი**
ელისაბედის ქუჩა, 164, ბაქოს ქ. კუთხე.

## რკინის კოჭები, საქვაბე რკინა, რკინის საკუთხე, რკინა სახლის სახურავისათვის.

აგური სახლების ასაგებად, საკუთარი აგურხანისა, ვაკეში.

**ტელეფონი კანტორისა № 123.**

**ცემენტი** ასფალტი, გუდრონი, ცეცხლში გამძლე აგური და თიხა, ლურსმები, ანჯამები და სხვა საიმშენებლო მასალა. 1025

**ვ ა ლ ბ ე რ ი**

(ბაკურიანის რკინის გზა. ბორჯომიდან 12 ვერსზე)

10 ივნისიდან გაიხსნება პანსიონი „ანკარა"

## ელისაბედ მღებრიშვილისა

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ საკუთარ შენობაში, მაღლობ და განცალკევებულ სუფთა ადგილას, ფიჭვ-ნაძვნარში. პანსიონი შესდგება 40 ოთახისგან, პანსიონთან იმყოფება ექიმი, საგანგებოდ გამოყვანილია წყარო, იქნება ვანები, გასართობები, პიანინო და სხვა. სახლიდან მოსჩანს საუცხოვო სანახაობა.

პირობების გაგება შეიძლება 10 ივნისამდე გრიბოედოვის ქუჩაზე № 25 მესამე სართული და 10 ივნისის შემდეგ კი—წაღვერში. 1202

## ტფილისის საპოლიტეხნიკუმო კურსები ინჟენერის მ. ნ. ვინოგრადოვისა

—✦✦ განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი ✦✦—

განყოფილებანი: სამიწისმზომლო, სამშენებლო და სასოფლო-მეურნეობისა. პირველ სემესტრზე გამოუცდელად მიიღებიან საოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი 1872 წ. დებულების მიხედვით, ანუ ამ სასწავლებლის სადარი კურსიანი სკოლისა. სამიწისმზომლო კურს დასრულებულთ გამიჯვ. სამმართველო, საპიროთებისამებრ, ჰნიშნავს მიწის მომწყობ კომისიის მიწისმზომლის თანაშემწის კანდიდატად (გამმიჯ. სამმართ. ცნობა 1914 წ. 28 თებერვ. № 1072). სამიწისმზომლო განყოფილების კურსი ორწლიანია, სამშენებლო და სოფლის მეურნეობისა ორწლინახევრიანი.

პროგრ. პექტები იგზავნება 30 კ. მარკის გამოგზავნისათანავე, ტფილისი, პუშკინის ქ. სახ. № 8. ტელეფ. 10—30. 1197

**მსოფლიოდ განთქმული**

## კრემი კაზიმისა მეტამორფოზა,

**ერთად-ერთი მთელი ქვეყნის ქალების მიერ მოწონებული.**

უტყუარად არსებითად აქრობს ძიძიბებს, მზის ნამწვს, პირის ლაქას, ჭორფლს, სახის ნაოჭებს და პირისსახის სხვა ნაკლულევანებას.




1123 Метцль. 4412.




## ახალი სურნელებანი

„ორხიდორ"
„საიდა"
„პორონკა"
„რაზსვეტ"
„დივნი ლანდიშ"
„კიპრიდა"
„როზამუნდა"
„ვოლნა"
„ნიმფა"
„მოი გრიოზი"
„პეტკა სირენი"
„ტოლსტოი"
„ტილლია"
„იდეალ გრიოზ"
„ჯიოკონდა"
„ცარიცა ლებედ".

მ. ი. შმ. იჯარადარნი.

Метцль. 173486. 1192

## მხოლოდ 12 დღით

# ძმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვის

# პარიზული მაღაზია

## მეკერილი ტანისამოსისა

**მხოლოდ 12 დღით 19-დან 31 მაისამდე,**

ნამდვილი **იაფი ვაჭრობა** ყველა საქონლისა

## უდიდესის და არაჩვეულებრივის ფას-დაკლებით.

ქალთა განყოფილებაში გასასყიდად არის დიდ-ძალი რჩეული საქონელი:

**მანტო და მატინე აბრეშუმისა,**

მაუდეულისა და უკანასკნელი ფასონისა და სახის ინგლისური ტრიკოს. ფასები იწყება 25 მანეთიდან და ზევით. დიდძალი **პალტოები და გრძელი საქეები: ტრიკოსი, ტილოსი,** ბერდინისა 8 მანეთიდან.

**ქალის ტანისამოსი აბრეშუმისა**

(ასლის გადაღების შემდეგ დარჩენილი).

აგრეთვე მაუდეულისა, ტრიკოსი, და მერდინისა 15 მანეთიდან; ჩვეულებრივ ზომამდე და სოჩკები 5 მანეთიდან. ზედა ტანი მაუდისა და ინგლისური 3 მანეთიდან. კაცების განყოფილებაში ახლად მიღებულია დიდ-ძალი საზღვარ-გარეთული კოსტიუმები, მსუბუქი ალპაგა, **პიჯაკები, პალმრები ტილოსი და სასპორტო.**

## ფასები ზევრად დაკლებულია.

აგრეთვე გადადებულია გასასყიდად სეზონის მერე დარჩენილი მაუდეულის საქონელი

და იყიდება ნასყიდობაზე ნაკლებ ფასად. ყველა საქონლის ფასები აწერია იარლიკის მეორე მხარეს ფერადის კარანდაშით და

## ყოვლად შეუვაჭრებლად.

სიიაფეში გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ.

1215 გოლოვინის პროსპექტი სამხედრო ტაძრის პირდაპირ ტელეფონი № 2—58.

## მხოლოდ 12 დღით

მხოლოდ 12 დღით

მხოლოდ 12 დღით

## ექიმ ნავასარდიანის

## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
[illegible] მგვლის [illegible].

ავადმყოფებს მიიღებ ყოველ დღე [illegible]

დ ი ლ ი თ:

**„606" და „914"**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავახარალვი:** 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.

**გ. გ. ბენიამინოვი:** 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, ავადმყოფ და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

1071

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძევალოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**ფოსტის განყოფილების ქვ. საკუთარ სახლში.**

## იყიდება იმავე ხარისხის საქონელი,

**როგორც პუშკინის ქუჩაზე.** 1081


## ალსასრული ადამიანის ტანჯვისა

## სუსუნატის წამლობა.

4 წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი" გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო საბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი"-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ"-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „რაპიდ"-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ **სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს, ამისთანა შემთხვევა არ არის,** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენად, და **„რაპიდ"-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდათ ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიათ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში მათს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდ"-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლად ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „რაპიდის" ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დავუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა.**

„მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამასა და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „რაპიდ"-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ 20 დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბარატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო" (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრ განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები მაქვს, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (ორიგინალი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

წერილი მე-7. მ. ხ. გულწრფელ და გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი საშუალება „რაპიდის" გამო. მე ეხლა სრულიად გავსაღდი ჩემი სენისაგან, რომელიც ქრონიკულად მქონდა გადაქცეული. А. К. კიევი.

წერილი მე-8. მ. ხ. ბ. დელამური! წამლობა გავათავე 10 და 13 მარტს, ჩემი შარდი გამოსაკვლევად წავიღე. როგორც ამ მოწმობიდან სჩანს, გონოკოკები აღარა მყავს. ერთხელ კიდევ მადლობას გიგზავნით.

პატივისცემით ს. ბ. დეროვინო, სამ. გუბ.

ფასი 2 ორმაგი ფლაკონისა (სრული წამლობის კურსი) 8 მან.

ფასდადებით და გადაზავნით 9 მ. ფასდადებით იგზავნება მხოლოდ 3 მან. გამოგზავნის შემდეგ.

გთხოვთ შეკვეთისა და ცნობებისათვის მიჰმართოთ:

**ტფილისში ჩემს წარმომადგენელს ქ. ბაგრატიანს, ლორის-მელიქოვის ქ.,** № 16, სახელმწ. ბანკის პირდაპირ, დილის 11—2 ს. და საღ. 5—7 ს. აგრეთვე იყიდება ძმ. ტერტეროვების აფთიაქში, ნეკრასოვისა და რაზიეზდას ქუჩ. კუთხეში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

პატივისცემით **მ. დელამური,** მოსკოვი. ნეგლინის მისახვ. № 14, ბინა № 4. 241

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.
[illegible]ოყაფეებისა-